

ქ.თბილისი

2018 წლის 19 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 19 აპრილს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლევან ჩიკვაძე, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ფ. გაბაძის ოქმი, მთავარი მსაჯის ნ. ელოშვილის და თანამსაჯი ლ. გიორგაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 13 აპრილს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, სტეფანწმინდის „ლელიო/ყაზბეგი“-სა და გარდაბანის „გარდაბანი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. გარდაბანის „გარდაბანი“-ს მორაგბე გელა ჯანაშვილი - მოწინააღმდეგესთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
2. გარდაბანის „გარდაბანი“-ს მორაგბე საბა ონიანი - მოწინააღმდეგესთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.8, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი # 1 -ის 2.8. პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. გარდაბანის „გარდაბანი“-ს მორაგბე გ. ჯანაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
2. გარდაბანის „გარდაბანი“-ს მორაგბე ს. ონიანი დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.8 პუნქტი და კლუბ გარდაბანის „გარდაბანი“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/